ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302334075**
თარიღი: **06/12/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 31 ოქტომბრის N30-302330418 მომართვის საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება და გამოსცა;

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" 2023 წლის 27 ნოემბრის N71 განკარგულება."

ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების ცვლილების პროექტის მე-4 მუხლს, მე-4 პუნქტის შემდგომ დაემატოს, მე-5 პუნქტი შემდეგი სახით:

,, 5**. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის წარმატებული მოსწავლე - ახალგაზრდისა და მათი ხელმძღვანელი/ პედაგოგის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული, პირველი ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდო - 300 ლარი;

ბ) საერთაშორისო მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე, გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდო -500 ლარი;

გ) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი მონაწილე გუნდის ფულადი ჯილდო-500 ლარი;

დ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი მონაწილე გუნდის ფულადი ჯილდო – 700 ლარი

ე) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე, გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილის ხელმძღვანელი/ პედაგოგის ფულადი ჯილდო -200 ლარი;

ვ) საერთაშორისო მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე, გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი, ინდივიდუალური მონაწილის ხელმძღვანელი/ პედაგოგის ფულადი ჯილდო-300 ლარი;

ზ) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი გუნდის ხელმძღვანელი/პედაგოგის ფულადი ჯილდო -200 ლარი;

თ) საერთაშორისო მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელი გუნდის ხელმძღვანელი/პედაგოგის ფულადი ჯილდო-300 ლარი“.

გთხოვთ, განიხილოთ ზემოაღნიშნული და გაითვალისწინოთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცებისას.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი